საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF SOCIAL AND POLITICAL SCIENCES

№ 07/30-09 „27" 02 2018 წ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დეკანის ბრძანება 7/2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების (დამტკიცებული თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 12 თებერვლის # 1 ოქმით) 30-ე მუხლისა სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების 2018 წლის 26 თებერვლის სხდომის ოქმი #1 მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

ვბრძანებ

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ხელმძღვანელად დაინიშნოს პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი;

2. ბრძანების ფაკულტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება და შესაბამისი სტრუქტული ერთეულებისთვის გადაცემის უზრუნველყოფა დაევალოს ფაკულტეტის დეკანის სამდივნოს.

3. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი თამარ დოლბაია

ილია ჭავჭავაძის გამზ. 8, 0179 თბილისი, საქართველო
8, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.social.tsu.ge

ტელეფონი: +(995 32) 229 05 94 Tel.
ფაქსი: +(995 32) 229 05 94 Fax.
ელ-ფოსტა: social@tsu.ge; E-mail

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის დეკანს, ქალბატონ თამარ დოლბაიას

ამავე ფაკულტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის
ასოცირებული პროფესორის,
კახა ქეცბაიას

მიმართვა

ქალბატონო თამარ,

მოგახსენებთ, რომ 2018 წლის 26 თებერვალს ჩატარდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ხელმძღვანელის არჩევნები.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის ხელმძღვანელად ხმათა უმრავლესობით არჩეულ იქნა პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი.

წერილს თან ახლავს სხდომის ოქმი.

სხდომის თავმჯდომარე

ასოც. პროფესორი

26. 02. 2018

3746/30 3
26 02 018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების აკადემიური
პერსონალის 2018 წლის 26 თებერვლის

სხდომის ოქმი № 1

სხდომას დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის 11 წევრიდან ესწრებოდა 9 წევრი:

პროფესორები: ამირან ბერძენიშვილი, იაგო კაჭკაჭიშვილი.
ასოცირებული პროფესორები: ნათელა დონაძე, მარინა ბურძენიძე, ლელა გაფრინდაშვილი, ნინო დურგლიშვილი, კახა ქეცბაია, თამარ მახარაძე.
ასისტენტ-პროფესორები: შორენა თურქიაშვილი

სხდომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ასოცირებული პროფესორი კახა ქეცბაია, ხოლო **მდივნად** - ასისტენტ- პროფესორი შორენა თურქიაშვილი.

დღის წესრიგი:

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ხელმძღვანელის არჩევნები.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის, ასოცირებული პროფესორ კახა ქეცბაიას ინფორმაცია სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ხელმძღვანელის ორი წლის ვადით არჩევის შესახებ. მან დამსწრეთ გააცნო ფაკულტეტის დებულების შესაბამისი მუხლები, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს საარჩევნო პროცესი. კახა ქეცბაიამ სთხოვა საბჭოს წევრებს, დაესახელებინათ სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატურები. პროფესორმა ამირან ბერძენიშვილმა დაასახელა პროფესორ იაგო კაჭკაჭიშვილის კანდიდატურა. სხვა კანდიდატურები არ დასახელებულა. სხდომის თავმჯდომარემ ითხოვა, განესაზღვრათ არჩევნების ჩატარების სახე.

აზრი გამოთქვეს: ამირან ბერძენიშვილმა, ნათელა დონაძემ, ლელა გაფრინდაშვილმა.

დაადგინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ხელმძღვანელის კანდიდატურის არჩევა განხორციელდეს დახურული კენჭისყრით. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა იაგო კაჭკაჭიშვილის კანდიდატურა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის 9 წევრმა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
მოწინააღმდეგე - 0
თავი შეიკავა - 0

დაადგინეს:

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტის ხელმძღვანელად ხმათა სიითი უმრავლესობით არჩეული იქნა პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი;
2. ეთხოვოს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს, თამარ დოლბაიას, დაამტკიცოს პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის ხელმძღვანელის თანამდებობაზე.

სხდომის თავმჯდომარე

ასოც. პროფესორი

სხდომის მდივანი

ასისტენტ- პროფესორი: